



## ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი)

### პროგრამის სახელწოდება

სამართალმცოდნეობა

LAW

### ფაკულტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგი

BUSINESS-ENGINEERING

### პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ასოცირებული პროფესორი სამართლის დოქტორი ზვიად როგავა

სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში (დანართი №3)

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law

მიენიჭება არანააკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა 8 სემესტრი (4 სასწავლო წელი)

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

## სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

## პროგრამის მიზანი

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური მომზადება საჯარო, კერძო, სისხლისა და საერთაშორისო სამართლის დარგებში.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიღებების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლების უნარი;
- სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
- სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია იმ პირობათვის, რომლებიც:

- სწავლობდნენ და მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება უცხოეთში სწავლით არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში;
- ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში და სწავლობდნენ ამ ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება

## სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები

### - ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა.
- გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი, კომპლექსური საკითხები და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.
- კურსდამთავრებულმა იცის: განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; ქონებრივი სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; საზღვარგარეთის ქვეყნებისა და ქართული სამართლის ისტორიული წყაროები.

### - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეუძლია სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება;
- აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი;
- შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა.

### - დასკვნის უნარი

- აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების, აგრეთვე სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

### - კომუნიკაციის უნარი

- აქვს მშობლიურ და უცხოურ ენაზე ინფორმაციის მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემის უნარი;
- აქვს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების და ქართულ და უცხოურ ენებზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი;
- აქვს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.

### - სწავლის უნარი

- აქვს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარი;
- აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

### - ღირებულებები

- იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. აქვს ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

## სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

### 1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

**2. დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**3. ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

### 4. წიგნზე მუშაობის მეთოდი.

**5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

**6. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**7. ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**8. შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.

**9. გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;

- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**10. როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**11. დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გაეხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**12. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შერეულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

**13. ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**14. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**15. წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

### სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები

- ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული  პრაქტიკა
- საშინაო დავალების პრეზენტაცია  იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულება  დამოუკიდებელი მუშაობა

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- ყოველკვირეულ შეფასებას;
- შუალედურ შეფასებას;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერილი (ტესტი, კაზუსი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა. ცალკეული სასწავლო კურსები შეიძლება ითვალისწინებდეს საშინაო დავალების მომზადებას და მის პრეზენტაციას ან იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობას.

შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება უნივერსიტეტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება. კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასებაა 51 ქულა.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

## დასაქმების სფერო

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

### **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

### **პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი**

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №4 დანართში.

### **პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი**

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი იურიდიული ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

### **პროგრამის სტრუქტურა**

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო სასწავლო პროგრამა შედგება არასპეციალობის არჩევითი საგნების (A), უცხოური ენის (B), სპეციალობის სავალდებულო საგნების (C), სპეციალობის არჩევითი საგნების (D) სასწავლო მოდულებისგან, აგრეთვე პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებაზე მიმართული სასწავლო კურსებისგან (E)

მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და თითოეული მათგანის შესწავლა შესაძლებელია, სავალდებულო წინაპირობა იყოს პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დანარჩენი სასწავლო კურსების შესწავლისა.

### სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ელემენტები (240 ECTS)

- (A) - არასპეციალობის არჩევითი საგნები - 15 ECTS
- (B) - უცხოური ენის მოდული - 32 ECTS
- (C) - სპეციალობის სავალდებულო საგნების მოდულები - 133 ECTS
- (D) - სპეციალობის არჩევითი საგნების მოდულები - 42 ECTS
- (E) - პრაქტიკული და კვლევითი უნარების კურსები - 18 ECTS

### არასპეციალობის არჩევითი საგნები (15 ECTS)

სტუდენტის თავისუფალი არჩევანის საფუძველზე არაიურიდიულ დისციპლინებში დასაშვებია მაქსიმუმ 15 კრედიტის დაგროვება.

არჩევითი დისციპლინების საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში.

არჩევითი სასწავლო კურსები მოიცავს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ფილოსოფიის, გამოყენებითი ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ლოგიკის, ეკონომიკის საფუძვლების და სხვ. სწავლებას.

### უცხოური ენის მოდული (32 ECTS)

უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 32 კრედიტის მოცულობით, 6 სემესტრის განმავლობაში.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე უნივერსიტეტს უნდა წარუდგინოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური ენა, უნივერსიტეტს უნდა წარუდგინოს ქვემოთ მითითებული პირობის შესაბამისი ერთ-ერთი სერტიფიკატი:

- (A) ტოიფელი (TOEFL RBT) – არანაკლებ 513 ქულა;
- (B) ტოიფელი (TOEFL IBT) – არანაკლებ 65 ქულა;
- (C) ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) - არანაკლებ 5.5 ქულა;
- (D) ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam) - ცოდნის დონე არანაკლებ FCE

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ერთი ან რამდენიმე უცხოური ენა, გარდა ინგლისური ენისა, უნივერსიტეტს უნდა



წარუდგინოს ქვემოთ მითითებული პირობის შესაბამისი ერთ-ერთი სერტიფიკატი:

- (A) ტოიფელი (TOEFL RBT) – არანაკლებ 437 ქულა;
- (B) ტოიფელი (TOEFL IBT) – არანაკლებ 41 ქულა;
- (C) ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) - არანაკლებ 4.0 ქულა;
- (D) ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam) - ცოდნის დონე არანაკლებ FET.

სერტიფიკატების შესატყვის დონეზე უცხო ენის ცოდნის დადასტურების მიზნით სტუდენტმა უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის სასერტიფიკაციო გამოცდა „უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დადგენილი წესით.

**შენიშვნა:** უცხო ენის B1, B2 დონეზე ცოდნის განმარტება - „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით ([www.alte.org](http://www.alte.org))

**სპეციალობის სავალდებულო საგნების მოდულები (133 ECTS)**

- (A) მოდული - სამართლის საფუძვლები - 23 ECTS
- (B) მოდული - საჯარო სამართალი (I) - 36 ECTS
- (C) მოდული - კერძო/ბიზნესის სამართალი (I) - 49 ECTS
- (D) მოდული - სისხლის სამართალი (I) - 25 ECTS

**სპეციალობის არჩევითი საგნების მოდულები - თავისუფალი კომპონენტი (42 ECTS)**

- (A) მოდული - საჯარო სამართალი (II) - 42 ECTS
- (B) მოდული - საერთაშორისო სამართალი (II) - 42 ECTS
- (C) მოდული - კერძო/ბიზნესის სამართალი (II) - 42 ECTS
- (D) მოდული - სისხლის სამართალი (II) - 42 ECTS

სპეციალობის არჩევითი საგნების მოდულები სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სამართლის ცალკეულ დარგებში. სპეციალობის არჩევითი საგნების მოდულებიდან სავალდებულო 42 კრედიტის დაგროვება. ამასთან, არჩევითი საგნების ერთი მოდულიდან სტუდენტმა სემესტრში შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 12 კრედიტი, ხოლო წელიწადში მაქსიმუმ - 24 კრედიტი.

**პრაქტიკული და კვლევითი უნარების კურსები - თავისუფალი კომპონენტი (18 ECTS)**

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მიმართულ კომპონენტს. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი გადის პროფესიული ეთიკის თეორიულ კურსს (6 კრედიტი).

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი კომპონენტის სახით ითვალისწინებს სტუდენტის აქტივობას პრაქტიკული სამართლის კლინიკაში. პრაქტიკული სამართლის კლინიკა საშუალებას აძლევს ბაკალავრს მიიღოს პრაქტიკულ უნარებზე დაფუძნებული განათლება და მოიპოვოს შესაბამისი აკადემიური კრედიტი (12 კრედიტი) აღნიშნული კომპონენტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში (იხ. დანართი 1).

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი კომპონენტის სახით 12 კრედიტის ფარგლებში ასევე ითვალისწინებს კვლევითი უნარებისა და დამოუკიდებელი მუშაობის განვითარებაზე მიმართულ კომპონენტს - საბაკალავრო ნაშრომს (იხ. დანართი 2).

**თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 72**

**პროგრამის საგნობრივი დატვირთვა**

	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი									
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
<b>არასპეციალობის არჩევითი საგნები</b>				<b>10</b>	<b>5</b>								
1.	OFC0008-LP	არ გააჩნია	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5									
2.	INHIL07-LS	არ გააჩნია	ფილოსოფიის შესავალი	5									
3.	POL0007-LS	არ გააჩნია	პოლიტოლოგია	5									
4.	GAM0007-LS	არ გააჩნია	კულტურა და თანამედროვეობა	5									
5.	SOC0007-LS	არ გააჩნია	სოციოლოგია	5									
6.	PRIEC07-LS	არ გააჩნია	ეკონომიკის პრინციპები	5									
7.	WOC0007-LS	არ გააჩნია	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები		5								
8.	ELLG007-LS	არ გააჩნია	ელემენტარული ლოგიკა		5								
9.	APPSY07-LS	არ გააჩნია	გამოყენებითი ფსიქოლოგია		5								
10.	DAC0007-LS	არ გააჩნია	დემოკრატია და მოქალაქეობა		5								
<b>მოდული - უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა</b>				<b>6</b>	<b>6</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>				
11.	FLN1107-P	არ გააჩნია	უცხოური ენა - 1	6	6								
12.	FLN1207-P	FLN1107-P	უცხოური ენა - 2										
13.	FLN1307-P	FLN1207-P	უცხოური ენა - 3			5							
14.	FLN1407-P	FLN1307-P	უცხოური ენა - 4				5						
15.	PL0907-PE	FLN1407-P	პროფესიული ენა - 1					5					
16.	PL1007-PE	PL0907-PE	პროფესიული ენა - 2							5			
<b>სპეციალობის სავალდებულო საგნების მოდულები</b>													
<b>მოდული - სამართლის საფუძვლები</b>				<b>14</b>	<b>9</b>								
17.	BAL0107-LS	არ გააჩნია	შესავალი სამართალმცოდნეობაში	5									
18.	BAL0207-LS	არ გააჩნია	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	5									
19.	BAL0307-LS	არ გააჩნია	რომის სამართალი	4									
20.	BAL0407-LS	არ გააჩნია	ქართული სამართლის ისტორია		5								
21.	BAL0507-LS	BAL0107-LS	სამართლის მეთოდები		4								
<b>მოდული - საჯარო სამართალი - I</b>				<b>5</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>5</b>	<b>6</b>					

	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი									
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
22.	PAL0107-LS	BAL0107-LS	საქართველოს სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი		5								
23.	PAL0207-LS	PAL0107-LS	ადამიანის ძირითადი უფლებები			4							
24.	PAL0307-LS	PAL0107-LS	ადმინისტრაციული სამართალი			6							
25.	PAL0407-LS	PAL0307-LS	სამეწარმეო წესრიგის სამართალი				4						
26.	PAL0507-LS	PAL0107-LS	საერთაშორისო საჯარო სამართალი				6						
27.	PAL0607-LS	PAL0307-LS	საფინანსო საართალი					5					
28.	PAL0707-LS	PAL0307-LS	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი							6			
			<b>მოდული - კერძო/ბიზნესის სამართალი - I</b>		<b>5</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>14</b>				
29.	BUL0107-LS	BAL0107-LS	შესავალი სამოქალაქო სამართალში		5								
30.	BUL0207-LS	BUL0107-LS	სანივთო (ქონებრივი) სამართალი			5							
31.	BUL0307-LS	BUL0107-LS	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი			5							
32.	BUL0407-LS	BUL0307-LS	სახელმეკრულებო სამართალი				6						
33.	BUL0507-LS	BUL0307-LS	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები				4						
34.	BUL0607-LS	BUL0407-LS	სამეწარმეო სამართალი					5					
35.	BUL0707-LS	BUL0407-LS	სამოქალაქო სამართლის პროცესი					5					
36.	BUL0807-LS	BUL0707-LS	სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოში							5			
37.	BUL0907-LS	BUL0407-LS	საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი							5			
38.	BUL1007-LS	BUL0407-LS	შრომის სამართალი							4			
			<b>მოდული - სისხლის სამართალი - I</b>			<b>5</b>	<b>5</b>	<b>10</b>	<b>5</b>				
39.	CRL0107-LS	PAL0107-LS	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)			5							
40.	CRL0207-LS	CRL0107-LS	სისხლის სამართალი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)				5						
41.	CRL0307-LS	CRL0207-LS	სისხლის სამართალი (დანაშაულის სხვა სახეები)						5				
42.	CRL0407-LS	CRL0207-LS	სისხლის სამართლის პროცესი						5				
43.	CRL0507-LS	CRL0407-LS	სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში							5			
			<b>სპეციალობის არჩევითი საგნების მოდულები</b>								<b>24</b>	<b>18</b>	
			<b>მოდული - საჯარო სამართალი - II</b>										
44.	PAL0807-LS	PAL0107-LS	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი								6		
45.	PAL0907-LS	PAL0307-LS	ეკოლოგიური სამართალი								6		

	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი									
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
46.	PAL1007-LS	PAL0307-LS	სამოხელეო სამართალი									6	
47.	PAL1107-LS	PAL0307-LS	ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი									6	
48.	PAL1207-LS	PAL0707-LS	საგადასახადო სამართალი										6
49.	PAL1307-LS	PAL0107-LS	ნორმატიული აქტების სამართალი და კანონშემოქმედებითი ტექნიკა										6
50.	PAL1407-LS	PAL0107-LS	საარჩევნო სამართალი										6
<b>მოდული - საერთაშორისო სამართალი</b>													
51.	IPL-0107-LS	PAL0507-LS	ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი									6	
52.	IPL-0207-LS	PAL0507-LS	ევროკავშირის სამართალი									6	
53.	IPL-0307-LS	PAL0507-LS	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი									6	
54.	IPL-0407-LS	PAL0507-LS	საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი									6	
55.	IPL-0507-LS	PAL0507-LS	საერთაშორისო სახელმეკრულებლო სამართალი										6
56.	IPL-0607-LS	PAL0507-LS	ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართალი										6
57.	IPL-0707-LS	PAL0507-LS	დიპლომატიური და საკონსულო სამართალი										6
<b>მოდული - კერძო/ ბიზნესის სამართალი - II:</b>													
58.	BUL1107-LS	BUL0907-LS	დაზღვევის სამართალი									6	
59.	BUL1207-LS	BUL0907-LS	საბანკო სამართალი									6	
60.	BUL1307-LS	BUL0707-LS	საერთაშორისო კერძო სამართალი									6	
61.	BUL1407-LS	BUL0907-LS	გადახდისუუნარობის სამართალი									6	
62.	BUL1507-LS	BUL0907-LS	ფასიანი ქაღალდების სამართალი										6
63.	BUL1607-LS	BUL0707-LS	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი										6
64.	BUL1707-LS	BUL0707-LS	სანოტარო სამართალი										6
<b>მოდული - სისხლის სამართალი - II</b>													
65.	CRL0607-LS	CRL0407-LS	საერთაშორისო სისხლის სამართალი									6	
66.	CRL0707-LS	CER0307-LS	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია									6	
67.	CRL0807-LS	CRL0407-LS	გამოძიებისა და სასამართლო წარმოების საფუძვლები									6	
68.	CRL0907-LS	CER0307-LS	კრიმინოლოგია									6	

	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი							
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
				სემესტრი							
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
69.	CRL1007-LS	CRL0407-LS	კრიმინალისტიკა (გამოძიების გახსნის მეთოდოლოგია)								6
70.	CRL1107-LP	CRL0507-LS	სასამართლო უნარ-ჩვევები								6
71.	CRL1207-LS	CRL0107-LS	სასჯელის შეფარდება და სასჯელალსრულების სამართალი								
			<b>პრაქტიკული და კვლევითი უნარების კურსები</b>							<b>6</b>	<b>12</b>
72.	SPC0107-LS	PAL0107-LS	პროფესიული ეთიკა							6	
73.	SPC0207-LS	SPC0107-LS	პრაქტიკული სამართალი (კლინიკა)								12
74.	SPC0307-BT	SPC0107-LS	საბაკალავრო ნაშრომი								12
			<b>სემესტრში</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>
			<b>წელიწადში</b>	<b>60</b>		<b>60</b>		<b>60</b>		<b>60</b>	

სწავლის შედეგების რუკა

	საგნის კოდი	საგანი	კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
<b>არასპეციალობის არჩევითი საგნები</b>								
1.	OFC0008-LP	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	X	X		X		
2.	INHIL07-LS	ფილოსოფიის შესავალი	X	X				X
3.	POL0007-LS	პოლიტოლოგია	X	X	X	X		
4.	GAM0007-LS	კულტურა და თანამედროვეობა	X	X	X	X	X	X
5.	SOC0007-LS	სოციოლოგია	X	X	X			
6.	PRIEC07-LS	ეკონომიკის პრინციპები	X	X	X			
7.	WOC0007-LS	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	X	X		X		
8.	ELLG007-LS	ლოგიკა	X		X	X		
9.	APPSY07-LS	გამოყენებითი ფსიქოლოგია	X		X	X	X	
10.	DAC0007-LS	დემოკრატია და მოქალაქეობა	X	X	X			X
<b>მოდული - უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა</b>								
11.	FLN1107-P	უცხოური ენა - 1	X	X		X	X	
12.	FLN1207-P	უცხოური ენა - 2	X	X		X	X	
13.	FLN1307-P	უცხოური ენა - 3	X	X		X	X	
14.	FLN1407-P	უცხოური ენა - 4	X	X		X	X	
15.	PL0907-PE	პროფესიული ენა - 1	X	X		X	X	
16.	PL1007-PE	პროფესიული ენა - 2	X	X		X		
<b>სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულები</b>								
<b>მოდული - სამართლის საფუძვლები</b>								
17.	BAL0107-LS	შესავალი სამართალმცოდნეობაში	X	X	X		X	
18.	BAL0207-LS	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	X	X	X			
19.	BAL0307-LS	რომის სამართალი	X	X	X			
20.	BAL0407-LS	ქართული სამართლის ისტორია	X	X	X			

21.	BAL0507-LS	სამართლის მეთოდები	X	X	X			
		<b>მოდული - საჯარო სამართალი - I</b>						
22.	PAL0107-LS	საქართველოს სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი	X	X	X	X	X	X
23.	PAL0207-LS	ადამიანის ძირითადი უფლებები	X	X	X	X	X	X
24.	PAL0307-LS	ადმინისტრაციული სამართალი	X	X	X	X	X	X
25.	PAL0407-LS	სამეწარმეო წესრიგის სამართალი	X	X	X		X	
26.	PAL0507-LS	საერთაშორისო საჯარო სამართალი	X	X	X	X	X	
27.	PAL0607-LS	საფინანსო სამართალი	X	X	X	X	X	
28.	PAL0707-LS	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	X	X	X	X	X	X
		<b>მოდული - კერძო/ბიზნესის სამართალი - I</b>						
29.	BUL0107 -LS	შესავალი სამოქალაქო სამართალში	X	X	X	X	X	
30.	BUL0207-LS	სანივთო (ქონებრივი) სამართალი	X	X	X	X	X	
31.	BUL0307-LS	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	X	X	X	X	X	
32.	BUL0407-LS	სახელშეკრულებო სამართალი	X	X	X	X	X	
